06/07/2017

„ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით
დემოკრატიის დასაცავად“ (ვენეციის კომისია)
პრეზიდენტს **ბატონ ჯანი ბუკიკიოს**

მიმართვა

საკონსტიტუციო ცვლილებებით გათვალისწინებულ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენის წესთან დაკავშირებით

უპირველესად, მინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობამ გამჭვირვალე გარემოში ჩაიარა, კომისიის თითოეულ წევრს მიეცა შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიეღო პროცესში და მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციის პროექტის ტექსტმა გაუმჯობესება განიცადა სამართლებრივი გამართულობის და ადამიანის უფლებათა სტანდარტების განმტკიცების თვალსაზრისით.

ასევე მისასალმებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის ტექსტში, პირველად დაფიქსირდა ადვოკატის საქმიანობის და ადვოკატურის დამოუკიდებლობის და თვითრეგულირების კონსტიტუციური გარანტიები, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ადვოკატის პროფესიის შემდგომ განვითარებას და ხარისხიანი მართლმსაჯულების ადმინისტრირებას.

ამასთან, გვინდა ვენეციის კომისიას გავუზიაროთ ადვოკატთა ასოციაციის მოსაზრება კონსტიტუციის პროექტის 61-ე მუხლის რედაქციასთან დაკავშირებით, რაც ეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენის/არჩევის პროცედურებს.

ვფიქრობთ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნომინირების უფლების მხოლოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის გადაცემა, მნიშვნელოვანი რისკის შემცველია იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეთა

თვითმმართველობის ხარისხი არაა მაღალი და ვერ პასუხობს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების მოწყობის აუცილებელ მოთხოვნებს.

მოსამართლეთა თვითმმართველობის და დამოუკიდებლობის დონე კი პირდაპირ და დიდწილად განაპირობებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიუკერძოებულობას და ეფექტიანობას რაც კრიტიკის ობიექტია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

ბოლო წლების დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოსამართლეთა უმაღლესი თვითმმართველი ორგანოს-მოსამართლეთა კონფერენციაზე სისტემისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მიიღება თითქმის ერთხმად, რაიმე არსებითი მსჯელობის გარეშე; არ არსებობს დისკუსიისა თუ დებატის ეფექტიანი ფორმატი; კონფერენციის მიერ ასარჩევ თანამდებობებზე არ არსებობს კანდიდატების კონკურენცია; უმეტეს შემთხვევაში კონკრეტული კანდიდატი უალტერნატივოა; ადგილი აქვს განსხვავებული აზრის შეუწყნარებლობას, იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როცა ასეთი განსხვავებული აზრი ფიქსირდება.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნომინირების უფლების მხოლოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის გადაცემამ, ასევე შეიძლება საფრთხე შეუქმნას უზენაეს სასამართლოში სხვა იურიდიული პროფესიების (ადვოკატი, პროკურორი) და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების განწესებას, რადგანაც არსებობს დიდი ალბათობა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატის ნომინირების დროს, აქცენტი ძირითადად მხოლოდ მოსამართლეებზე ანდა სასამართლოსთან დაკავშირებულ პირებზე გაკეთდეს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში ალტერნატიული წინადადებით მიმართა კომისიას, იმდაგვარად ჩამოყალიბებულიყი კონსტიტუციის პროექტის 61-ე მუხლის რედაქცია, რომ თანაბარი შესაძლებლობა მისცემოდა ყველა იურიდიული პროფესიის წარმომადგენელს და კანდიდატებს, ჩამოყალიბებულიყო ჯანსაღი კონკურენტული გარემო. იხილეთ ქვემოთ:

მუხლი 61. უზენაესი სასამართლო

1.საქართველოს უზენაესი სასამართლო არის საკასაციო სასამართლო.
2. უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 28 მოსამართლე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მოსამართლედ, ადვოკატად ან პროკურორად მუშაობის არანაკლებ 5 წლის, ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია.

3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ადვოკატთა ასოციაციის, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ან და სამართლის სფეროში მოქმედი საზოგადოებრივი გაერთიანების წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.
4. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან 10 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლო. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

იმედს ვიტოვებთ ვენეციის კომისია გაითვალისწინებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოსაზრებებს ქართული მართლმსაჯულების განვითარების ესოდენ მნიშვნელოვან ეტაპზე.

დიდი პატივისცემით,

ზაზა ხატიაშვილი
თავმჯდომარე